

ენისა და ლიტერატურის განყოფილება

ენისა და ლიტერატურის განყოფილებაში გაერთიანებული იყო 14 წევრი, მათ შორის 5 აკადემიკოსი და 9 წევრ-კორესპონდენტი.

2007 წელს განყოფილების წევრებმა გამოაქვეყნეს 4 მონოგრაფია და წიგნი, 1 სახელმძღვანელო და 16 სამეცნიერო სტატია.

ა) მონოგრაფიები, წიგნები

აკად.წევრ-კორ. ზ.ალექსიძე

„მოქალაქეთა ქართლისათ“ სინას მთაზე ახლად აღმოჩენილი ხელნაწერების მიხედვით (საქართველოს საატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 60 გვ.)

გამოქვეყნებულია სინას მთაზე აღმოჩენილი „მოქალაქეთა ქართლისათ“-ს ორი ახალი რედაქცია.

აკად.წევრ-კორ. რ.გორდეზიანი

„მედიტერანულ-ქართველური მიმართებები: ტომი I – „საწყისები“ (205 გვ), ტომი II – „წინაპერძნული“ (458 გვ.), ტომი III – „ეტრუსკული. დასკვნითი კომენტარები“ (497 გვ.).

სამტომეულში გამოკვლეული და სისტემატიზებულია ქართველურ-შუმერული, ქართველურ-წინაპერძნული (მათ შორის მინოსური, ეტეოკრეტული, ლემნოსური), ქართველურ-ეტრუსკული, ქართველურ-აღმოსავლეთ-მედიტერანული, ქართველურ-დასავლეთ-მედიტერანული უძველესი ენობრივი ურთიერთობების საკითხები, მოცემულია მათი ინტერპრეტაციის ცდა უახლესი სამეცნიერო მონაცემების გათვალისწინებით.

აკად.წევრ-კორ. გ.შარაძე

„სიკვდილი და დასაფლავება აკაკი წერეთლისა“, IV ტომი (თბილისი, 407 გვ.).

აკად.წევრ-ქორ. ე.ჯაველიძე

„ავაპმე, ჩემო მამულო“ (თბილისი, 524 გვ.).

განხილულია დღევანდელობის უმწვავესი პრობლემა – გლობალიზაციისა და პლანეტარული იმპერიის შექმნის პროცესში როგორ უნდა შეინარჩუნოს ერმა თვითმყოფადობა და დამოუკიდებლობა. მონოგრაფიის მიზანია მსოფლიოს გლობალური კონტექსტის ჭრილში ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსურიული და სულიერი თვალთახედვით განიხილოს ადამიანის გადაგვარების, მისი ზნეობის, რწმენის დაცემის მიზეზები და გამოამზეუროს, თუ კონკრეტულად რას უქადის ქართულ სახელმწიფოს ე.წ. სამართლებრივი რეფორმა, მეცნიერებისა და განათლების, ხელოვნებისა და, საერთოდ, კულტურის მიზანმიმართული გარდაქმნა, ქართული ტრადიციების უგულებელყოფა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ლატენტური ბრძოლა, ხანგამოშვებით რომ მწვავედ იჩენს თავს.

ბ) სახელმძღვანელოები

აკად.წევრ-ქორ. რ.გორდეზიანი

„კლასიკური ფილოლოგიის შესავალი“ (თანაავტორობით; მეორე შევსებული გამოცემა. სახელმძღვანელო უნივერსიტეტებისათვის, 331 გვ.).

გ) სტატიები

აკად. თ.ყაუხჩიშვილი

„ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერა საქართველოდან“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 175, №1, 180-183).

აკად.წევრ-ქორ. ზ.ალექსიძე

1) „სიყვარულსა ბერძენთასა ნუ დაუტევებდით“ (კრებული, „აკად. მარიკა ლორთქიფანიძე – 85“).

ქართულ წყაროებზე დაყრდნობით ნაჩვენებია ძველი საქართველოს დასავლური ორიენტაცია, რისი სიმ-

ბოლური გამოხატულებაც იყო გახტანგ გორგასლის ანდერძი.

2) „კავკასიის ალბანეთის მწერლობის ძეგლის აღმოჩნა და გაშიფვრა“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 175, №1, 161-167).

ნაშრომში აღწერილია სინას მთაზე აღმოჩნილი ალბანური ტექსტის იდენტიფიკაციისა და გაშიფვრის მეთოდები და პროცესი.

3) „როგორ იწყებოდა სინური აღმოჩნები“ (კრებული „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის“, თბილისი).

შრომაში ნაჩვენებია საქართველოს პატრიარქის, ილია II დვაწლი სინას მთაზე ქართული ხელნაწერების ახალი კოლექციის დადასტურებაში, მათი შემსწავლელი ექსპედიციების მოწყობასა და სამენოვანი (ქართული, ბერძნული, ინგლისური) კატალოგის გამოცემაში.

4) „უძველესი ქართულ-სომხური ფრაგმენტი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სომხურ ფონდში“ (კავკასიონლოგთა საერთაშორისო კონგრესის მასალები, თბილისი).

შესწავლილია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სომხურ ფონდში სომხური სახარების ქართულ-სომხური დამცავი რეეული. სომხური ხელნაწერის ფრაგმენტი (IX-X სს.) ასახავს სომხური ლექციონარის უძველეს ეტაპს. ქართული ფრაგმენტი (IX-X სს.) შეიცავს ასევე სახარების (ლუპას თავი) პროტოვულგატური თარგმანის უცნობი რედაქციის ფრაგმენტს.

აკად.წევრ-ქორ. რ.გორდეზიანი

„აიეტის ქვეყანა ჰომეროსის ტრადიციაში“ („ფაზისი“, 2 ტომად, საერთაშორისო კონფერენცია „არგონავტიკა და მსოფლიო კულტურა“, თბილისი).

სტატიაში წარმოდგენილია არგუმენტები იმის და-
სამტკიცებლად, რომ უკვე ჰომეროსის ტრადიციაში
აიგვის ქვეყანა კოლხიდაში მოიაზრება.

აკად.წევრ-კორ. გ.ქვარაცხელია

1) „ნორმალიზაციისა და კოდიფიკაციის პროცესთა
ტიპოლოგია“ (წიგნში: „ქართული სალიტერატურო ენის
საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა“,
პირველი კრებული, თბილისი, 60-66).

განხილულია სხვადასხვა სალიტერატურო ენის
ნორმალიზაციის საკითხები, რომლებიც ავლენენ ტიპო-
ლოგიურ ურთიერთებებისგავსებას.

2) „არსებობს თუ არა ქართველური ენები“ (პოლე-
მიკა) (წიგნში: „ქართველური ენები და დიალექტები“,
თბილისი, 12-14).

3) „სიყვარულითა და პროფესიონალიზმით“ (რეცენ-
ზია ვ.ხაზალიას წიგნზე „ჩემი პირველი რვეულები
ფრანგულ ენაში“, პარიზი-თბილისი 1961-2004 წწ.) (გე-
ლათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, №5, 54-58).

4) „იგი ბრწყინვავდა (აკად.ქლომთათიძე)“ (გელათის
მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, №10, 60-62).

აკად.წევრ-კორ. მ.შანიძე

1) „რუს-ურბნისის კრების დადგენილებათა ერთი
დეტალი“ (გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი,
№3, თბილისი, 29-45).

დავითის ისტორიკოსისა და რუს-ურბნისის კრების
ძეგლის წერის ანალიზის საფუძველზე შეტანილია შეს-
წორება დავითის ისტორიკოსის ტექსტში. დადგენილია,
რომ კრებას არ გამოუკხადებია საეკლესიო ანათემა
განკვეთილი მდგდელმთავრებისათვის, რაც მნიშვნელო-
ვანია დავითის სახელმწიფო უნივერსიტეტის განსა-
სახლვრავად.

2) „ქართული ხელნაწერები სინას მთაზე“ („ჯვარი
ვაზისა“, №1-2, 21-30).

მიმოხილულია წმ.ეგატერინგს მონასტრის ქართული კოლექცია, განსაკუთრებით ახალი (1975 წელს აღმოჩენილი). განსაზღვრულია მისი მნიშვნელობა მთლიანად ქართველოლოგისათვის.

3) „ერთი სიტყვის განმარტება საბას ლექსიკონში“ (გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, №7,40-44).

იშვიათი სიტყვა „თოიჩი“ (ალქაჯი) საბას ლექსიკონში დამოწმებული კონტექსტის მიხედვით ამოღებულია ეფრემ მცირეს ფსალმუნთა თარგმანებიდან, რაც ავტორის აზრით ადასტურებს, რომ საბამ ეს თხულება წყაროდ გამოიყენა.

4) „ერთი ადგილის გაგებისათვის თამარის მცირე ისტორიკოსის თხულებაში“ (კრებული „მარიკა ლორთქიფანიძე – 85“, 82–86).

სტატიაში გასწორებულია ხელნაწერში დამახინჯებულად მოცემული ფრაზა, რომელშიც სავარაუდოა დმერთის ეპითეტი.

აკად.წევრ-კორ. ე.ხინთიბიძე

„ვეფხისტყაოსნის“ უძველესი კვალი ევროპულ ლიტერატურაში (მივიწყებული წარსულის საიდუმლო)“ (ჟურნალი „ქართველოლოგია“, №14, ინგლისურ და ქართულ ენებზე).

ავტორის მიერ მიგნებულია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუქაში გამოიყენეს XVIII საუკუნის დასაწყისის ინგლისელმა დრამატურგებმა ბომონტმა და ფლეტჩერმა პიესაში „მეფე და არამეფე“.

აკად.წევრ-კორ. ე.ჯაველიძე

„რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს დაამჭკნაროსა, იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსა“ (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, №41, 30.XI.2007 წ., №42, 7.XII.2007 წ.).

ენისა და ლიტერატურის განყოფილების წევრები მონაწილეობდნენ სამეცნიერო-კვლევითი ოქმების დამუ-

შავებაში (აკად.წევრ-კორ. ზ.ალექსიძე – 1 და აკად.წევრ-კორ. გ.კვარაცხელია – 2).

აკად.წევრ-კორ. რ.გორდეზიანმა მოიპოვა 2 საზ-დვარგარეთული გრანტი.

განყოფილების წევრები მონაწილეობდნენ სამეცნი-ერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში. აკად.წევრ-კორ. გ.კვარაცხელია მონაწილეობდა არნ. ჩი-ქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ყოველწლიურ კონფერენციაში „არნ. ჩიქობავას საკითხავები“ (ქ.თბილისი), კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში (ქ.თბილისი), აკად. ქ.ლომთათიძი-სადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაში (ქ.თბილისი); აკად.წევრ-კორ. მ.შანიძე მონაწილეობდა საერთაშო-რისო სიმპოზიუმის – „ოთხთავისა და ფსალმუნის ტექ-სტოლოგიური კვლევა“ მუშაობაში. აკად.წევრ-კორ. ე.ხინოთიძიძე მონაწილეობდა შუა საუკუნეების ფილო-სოფიის XII საერთაშორისო კონგრესის (ქ.პალერმო, იტალია), საერთაშორისო სიმპოზიუმის – „ლიტერატუ-რათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“ (ქ.თბილი-სი) და საერთაშორისო სიმპოზიუმის „ბიზანტინოლოგია საქართველოში“ (ქ.თბილისი) მუშაობაში.

ენისა და ლიტერატურის განყოფილების წევრებმა შექმნეს: აკად. მ.მერაბიშვილმა აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის, კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის ქანდაკე-ბები და თამარ მეფის ბარელიეფი, აკად.წევრ-კორ. გ.თოთიძაძემ – პოეტ-აკადემიკოს ანა კალანდაძის პორ-ტრეტი.

აკად.წევრ-კორ. ზ.ალექსიძე არჩეულია მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად (ქ.ნიუ-იორკი, აშშ), ხოლო აკად.წევრ-კორ. რ.გორდეზიანი – საბერძნეთის მწერალთა კავშირის სა-პატიო წევრად.